გადატანის ოპერაციის იმპორტი ექსელიდან

ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია ოპერაციების იმპორტი ექსელიდან. სისტემას მიყვება ექსელის შაბლონი, რომლის კორექტულად შევსების შემთხვევაში მარტივად ხდება იმპორტი. ექსელის ფაილი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მარშრუტზე:ORIS Accounting 7.0\DataExport\ TransferOfGoodsImport.xlsx



არ გადააადგილოთ და არ წაშალოთ სვეტები და სტრიქონები. იმისათვის რომ იმპორტი შესრულდეს კორექტულად ველები შეავსეთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

თარიღში მიუთითეთ (რიცხვი.თვე.წელი)აუცილებლად წერტილით გამოყოფილი.

ღირებულების ცენტრიდან - მიუთითეთ ის ღირებულების ცენტრი (საწყობი) საიდანაც გადაგაქვთ საგანი.

ღირებულების ცენტრში - მიუთითეთ ის ღირებულების ცენტრი (საწყობი) სადაც გადაგაქვთ საგანი.

დოკუმენტის ნომერი: მიუთითეთ თქვენთვის სასურველი დოკუმენტის ნომერი.

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ველები კორექტულად. საგნის დამატება დაიწყეთ მე-12-ე სტრიქონიდან .

ველში „კოდი“ მიუთითეთ საგნის კოდი. თუ მითითებული კოდით უკვე გაქვთ სისტემაში დამატებული საგანი, მაშინ სისტემა დაუკავშირებს საგნების სიაში არსებულ საგანს. საგნის იდენთიფიცირება (ძიება) ხდება კოდით.

ველში „საგნის დასახელება “ მიუთითეთ საგნის დასახელება.

ველში „ერთეული“ მიუთითეთ საგნის ერთეული.

ველში „რაოდენობა“ მიუთითეთ რაოდენობა.



დაიმახსოვრეთ შევსებული ფაილი.

იმპორტის ოპერაციის შესასრულებლად შედით: მენეჯერული აღრიცხვა / გადატანის ოპერაციები. დააჭირეთ ღილაკზე , გადადით ბარათზე „გამოვიყენოთ მაკროსი“



დააჭირეთ ღილაკს „OK“



დააჭირეთ ... ღილაკს. მიუთითეთ მარშრუტი სადაც შეინახეთ თქვენს მიერ შევსებული ფაილი.

ველი „დავამატოთ საქონელი თუ საგნების სიაში ვერ მოიძებნა“ მონიშვნის შემთხვევაში დაემატება ყველა ის საქონელი საგნების სიაში რომლის კოდიც ვერ მოიძებნება სისტემაში, მითითებული მოსანიშნის გადანიშვნის შემთხვევაში სისტემაში არ დაემატება ახალი საქონელი საგნების სიაში. დააჭირეთ ღილაკს „OK“



დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“.